პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი ოთხშაბათი 14 ოქტომბერი № 236 (18178) ფასი 2 კაპ.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მაღლა გეჭიროთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა!

მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოთ ხუთწლედის დავალება!

ვიმუშაოთ ეფექტიანად და ხარისხიანად — ეს ჩვენი პატრიოტული მოვალეობაა!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან.

წარმატების საიდუმლო

- ჩამორჩენილი უბანი დაჩქარებულია
- ესტაფეტა საიმედო ხელშია
- ფლის გეგმა 7 ნოემბრისათვის

თბილისის ქაკარდული ქსოვილების ქარგლის გიორგი დიდებაშვილის სახახავად მისი სამუშაო უბნის — საქსოვი საამქროსკენ გაეწია. იგი მანქანას ჩაჰკირკიტებდა. ჩემი მიახლოება არც კი შეუმჩნევია, ისე იყო საქმით გართული. მანქანების გამაყრუებელ ხმაურში გაუძნელდა გიორგი მისგლის მიზეზი, მერე მოიბოდიშა, ოდნავ გაეღიმა და ხელი გამომიწოდა. იგი სიმპათიური გარეგნობისაა, ჭაღარაც შეეხნა, საუბრობს დინჯად.

წარმოშობით თიანეთის რაიონიდან ყოფილა, თბილისში რომ ჩამოსულა, მაშინდელი საფეიქროინდუსტრიული ტექნიკუმი დაუმთავრებია და შრომაც თბილისის კამეოლ-მაუდის კომბინატში დაუწყია. აქ ეზიარა გიორგი ფეიქრის პროფესიას.

საქმე შეიყვარა, მუდამ იმის ცდაში იყო, გაუმართოდ მანქანას ფეიქრები არ მოეცდინა, ოსტატდებოდა და მალე თანამოსაქმეებში კარგი სახელი მოიხვეჭა. შემდეგ თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ეაკარდული ქსოვილების ფაბრიკაში გადავიდა სამუშაოდ და უკვე თვრამეტი წელია, რაც აქ დამკვიდრდა. კარგად ახსოვს როდის შექმნა მეშვიდე ბრიგადა, იდრე იგი სხვა ბრიგადაში მუშად მუშაობდა, ის უბანი კი, სადაც ახლა საქმიანობს, უმეთვალყურეოდ ყოფილა „მიტოვებული“. მანქანა-დანადგარები დაუმონტაჟებელი იყო და ამაზე არავინ ზრუნავდა. თუკი ვინმეს რაიმე დეტალი დასჭირდებოდა, ამ „უპატრონო“ დაზგებს აცლიდა და თავისას უკეთებდა.

ერთხელ თურმე გიორგის საამქროს უფროსისათვის მიუმართავს: მოდი ამ უბანზე ქარგლად მე გადავალ, დაზგა-დანადგარებსაც დავამონტაჟებ და კარგ ბრიგადასაც ჩამოვაყალიბებო. მადლობის მეტი რა ეთქმოდათ — ხელმძღვანელობაც სიხარულით დათანხმდა.

თქმა ადვილი იყო, მაგრამ გაკეთებას ბევრი ჯაფა დასჭირდა. და მაინც ვაკაცმა სიტყვა არ გატეხა. გიორგიმ თითოეული დაზგა გაძართა და მწყობრში ჩააყენა. ფეიქრები ჯერ შიშით შეუდგნენ ქსოვას, ფიქრობდნენ, ვაითუ მორაღურად და ფიზიკურად გაცვეთილმა საქსოვმა მანქანებმა გეგმის შესრულებაში ხელი შეგვიშალოსო, მაგრამ ტექნიკის რიტმული მუშაობა გამარჯვების რწმენას განუმტკიცებდა მათ. ერთი წუთით მოცლის საშუალება არ ჰქონდათ, გეგმას ყოველდღიურად აკვარებდნენ და კარგ ანაზღაურებასაც იღებდნენ. საქმე ისე წავიდა, რომ ბევრს გიორგის ბრიგადაში მოხვედრა სურდა, ახლაც ასეა. ამ ბრიგადის წევრებს საამაყო ლოტა როდი აქვთ. მათ გასუფლი ხუთწლედი თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სისტემაში პირველებმა, 1979 წლის 7 ნოემბერს შეასრულეს და ათასობით მეტრი ზეგეგმთა ხამი ქსოვილი დაამზადეს. შარშან საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდნენ და სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის ვიმპელითა და სპეციალური დიპლომით დაჯილდოვდნენ. მეორე წელია ზედიზედ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველ ადგილზე არიან, რაც შეეხება საფაბრიკო გარდამავალ წითელ დროშას, როგორც წესი, ეს ბრიგადა ფლობს.

მეათე ხუთწლედში მოპოვებული წარმატებებისათვის ქარგალი გ. დიდებაშვილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საპატიო ნიშნის ორდენით დაჯილდოვდა, ხოლო პარტიის კალინინის რაიკომის ხელმძღვანელობამ მას საპატიო სიგელი გადასცა.

გიორგის თუ ჰკითხავთ, რა არის მისი წარმატების საიდუმლო, გეტყვით: — აუცილებელია კაცს თავისი საქმე უყვარდეს, მუყაითად და გულმოდგინედ შრომობდეს, იყოს დაუზარელი. მას მიაჩნია, რომ ქარგალი მარტო ვერაფერს გახდება, თუ ბრიგადაში მუყაითი ფეიქრები არ ეყოლება. მისი ბრიგადის წევრები სწორედ რომ ასეთნი არიან: რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ნ. ალბოროვი, ლენინის ორდენოსანი ე. ბოჭორიშვილი, თბილისის კალინინის სახელობის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს დეპუტატები ფ. ჟიბისაშვილი, ნ. ჩიღოშვილი და სხვები, რომელთა კეთილსინდისიერი საქმიანობა დიდ გავლენას ახდენს ბრიგადის საერთო წარმატებებზე. მაგრამ არის კიდევ წარმატების ერთი „საიდუმლოც“. გიორგისთან ერთად 12 წელია შრომობს მისი მეუღლე ტაისა. იგი ყოველწლიურ დავალებას ნორმის გადამეტებით სრულებს და თავისი წვლილი შეაქვს მეუღლის ბრიგადის წინსვლაში. შრომითი ესტაფეტა კვლავ გრძელდება... ოჯახის მესამე წევრი — ვაჟიშვილი ალექსანდრე მამის თანაშემწედ მუშაობს ამავე ბრიგადაში. საამქროს უფროსმა გვითხრა, რომ უბნები გავაფართოოვეთ და მამა-შვილს ორმოცდაათი ეაკარდული საქსოვი დაზგა ჩავაბარეთო. ალექსანდრემ საბხეღრო სამსახური გაიარა და ორი წელია მშობლების გვერდით მუყაითად შრომობს. მათ ოჯოროც შინისკენ, ისე მშობლიურ საწარმოში მომავალი ერთი გზა, ერთი ფიქრი და სახარული აქვთ. ამგვარი დინასტია მუდამ იყო ჩვენი მუშათა კლასის საამედო დასაყრდენი. ახლაც ასეა. და მომავალში კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს ეს მოძრაობა, რაც ყოველმხრივ დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც ახალგაზრდობას, ისე სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

გ. დიდებაშვილის ბრიგადის კოლექტივი უკვე მესამე წელია მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში შრომობს, ხოლო მიმდინარე წლის პროდუქციის გამომშვების ცხრა თვის გეგმა ამ ბრიგადის მჭედელებმა 125 პროცენტით შეასრულეს და 23.659 მეტრით მეტი ხამი ქსოვილი დაამზადეს, ვიდრე ეს ნავარაუდევი იყო.

გ. დიდებაშვილის ბრიგადის წევრები დღენიადაგ ზრუნავენ მშობლიური საწარმოს ავტორიტეტის ამაღლებისათვის. ისინი დღესაც კვლავინდებურად მუყაითად აგრძელებენ შრომას და გადაწყვეტილი აქვთ წლევანდელი წლის სახელმწიფო დავალება 7 ნოემბრისათვის შეასრულონ.

ლ. ჟინჟლაძე.

პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო კრება

ესაუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში ახლა მნიშვნელოვანი ეტაპია — პარტიული ჯგუფებიდან, საამქრო პარტორგანიზაციებიდან საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა პირველად პარტორგანიზაციებში გადმოინაცვლა. ყოველი ასეთი კამპანია მუდამ დიდმნიშვნელოვანი ნებისმიერი პირველადი პარტიული ორგანიზაციისათვის, მაგრამ წლევანდელი მაინც განსაკუთრებით გამორჩეულია.

საქმე ის არის, რომ იგი პირველად იმართება XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის შემდეგ, რომელთა გადწყვეტილებები, აგრეთვე, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავის საიუბილეო ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის ენერგიულ ამსახველ

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

მრავალ სათქმელთა შორის

მაღალი მთების მწვანე ქათიბს ოქროსფერი ეძალება. სულ მალე თეთრად აზვირთდება ცხვრის ქარავანი და ნმაურით გადაათელავს უღელტეხილებს — შორეულ კახეთისპირეთში გაემართება გამოსაზამთრებლად, გასამრავლებლად. საამისოდ კარგა ხანია ემზადებიან. ცხვარი გაიპარსა, ზოვეტწესისამებრ დამუშავდა, გადაირჩა, გადაითვალა. მატყლი მიმღებ-გადამმუშავებელ საწარმოებში გაიგზავნა, გადარჩეული თოხლი, ნეარი და ჭედილი — ხორცკომბინატში...

ყოველ წელს, ზამთრის საძოვრებზე გამგზავრების წინ, კომუნისტები იკრიბებიან ხოლმე საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, მსჯელობენ მუშაობის ავ-კარგზე, სახავენ მომავლის გეგმებს, ამოცანებს. ამჯერადაც ამ მიზნით შეიკრიბნენ საკოლმეურნეო კანტორაში ლენინგორის რაიონის სოფელ ბალაანის კომუნისტები. სათქმელი ბევრი ჰქონდათ, მაგრამ მათ შორის ერთი მაინც მთავარი საკითხი იყო — კონკრეტულად რა ღონისძიებებით უნდა უზრუნველეყოთ მეცხვარეობის შემდგომი აღმავლობა?

ეს წარმატებები, ცხადია, თავისით არ მოსულა. მიღწევები, რომლებზეც საანგარიშო კრებაზე იყო საუბარი, ბალაანელ კომუნისტთა სიტყვის და საქმის ერთიანობისათვის ბრძოლის შედეგიც არის. აქ დიდი ყურადღება ექცევა კრებებზე მიღებული დადგენილებების შესრულებას. წინა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ცხვრის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას. დასახული ღონისძიებების შესასრულებლად თითოეულ კომუნისტს კონკრეტული დავალება ჰქონდა მიცემული და ახლა კრებას კმაყოფილებით მოხსენდა, რომ ცხვრის ჯიშობრივი შემადგენლობა თანდათან უმჯობესდება. უკვე მათს ფარებში 8000-მდე სული თუშური ჯიშის ცხვარია. კომუნისტები ა. ბალაშვილი, ტ. ბალხამიშვილი, რ. გაროზაშვილი, ი. წიპტაური, ტ. გამხიტაშვილი, თ. საბიამვილი, ვ. მიდელაშვილი და სხვები ზრუნავდნენ, რომ ცხვარი გეზენრიმავი არ დარჩენილიყო, გულმოდგინედ მოუარეს ნამატს და კიდეც დაამსახურეს შექება, წახალისება, პრემიები... ასეთი თავდადებული შრომით ბალაანელმა მეცხვარეებმა პირნათლად შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება. გეგმით გათვალისწინებული 12.390-ის ნაცვლად მათს ფარებში ახლა 13 ათას სულზე მეტი ჯანსაღი ნერბია. ეს კი ცხვრის გამრავლების, პროდუქტიულობისა და სულადობის ზრდის გარანტიაა.

კომუნისტებმა კრებაზე კმაყოფილებით ილაპარაკეს სოფლის ახალგაზრდა მეთაურის, კომუნისტ ბორის ელოშვილის კეთილსინდისიერ, ნაყოფიერ შრომაზე. მისი უნარიანი წინამძღოლობით ბალაანის კოლმეურნეობამ თავი დაალწია ჩამორჩენას და ახლა მოწინავეთა რიგებშია. მან იცის, ვის რა უქირს, რა ულხინს. ახლაც, ყიზლარში გამგზავრების წინ, თითქმის ყველა ოჯახი შემოიარა. მწყემსებს შეშის, ფქვილის და სხვა სურსათ-სანოვაგის მომარაგებაში მიეხმარა. უკან დარჩენილ ოჯახზე ფიქრი შეუმსუბუქებათ ამით კერიის თვითმინთ მოწყვეტილ ადამიანებს. ეს რომ საგულეს არის, საქებსაც უკეთ მიხედავ. საკვები საკმაოდ აქვს ცხვარს, კაპიტალური სადგომებიც აშენეს. თვით მწყემსები კი ახალ ბინებში იცხოვრებენ.

ამ სამი წლის წინათ არავის სურდა ცხვარში წასვლა. ახლა შინ დარჩენა თითქმის საძრახისად მიაჩნიათ. კრებაზე ამის მაგალითები დასახელეს. თუნდაც არჩილ ქენქაძე. ბოლო ხანს მას ძველებურად ჯანი არ მოსდევს, მაგრამ თავისას არ იშლის. ცხვარს თავს არ ანებებს. წელს მან 20 ცენტნერი ცხვრის ყველი ჩაბარა, ნამატიც 100 პროცენტით მიიღო და შეინარჩუნა.

ჩვენ ყველა პირობა გვაქვს, რომ ვაწარმოოთ მეტი, გაცილებით მეტი ცხვრის ხორცი, მატყლი, საქურქე საბეწვე ნედლეული და უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ ქვეყნის მოთხოვნილება ამ პროდუქტებზე. — ლ. ი. ბრეჟნევის ეს სიტყვები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმზე, რომ წარმოთქვა, კრების მონაწილეებს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბორის ელოშვილმა შეახსენა. ეს ამოცანა, თქვა მან, დღეს ისევე აქტუალური, როგორც მაშინ, და მის გადაწყვეტაში მოკრძალებული წვლილი ჩვენც უნდა შევიტანოთ. რა უნდა გავაკეთოთ უპირველესად? — საჭიროა სანაშენე მეურნეობის მაღალ დონეზე მოწყობა, რეზერვების სრული ამოქმედება. როგორც წინს საანგარიშო კრებაზეც ვთქვი, ამის ერთ-ერთი უდიდესი რეზერვია თუშური ცხვრის მომრავლება. მის საკეთილში ჩვენ უკვე დავრწმუნდით. თუშურმა სამ კილოგრამზე მეტი მატყლი მოგვცა, ნამატიც 100 პროცენტი მივიღეთ. ხორცსაც ჩვენს ცხვარზე თითქმის 10 კილოგრამით მეტს იძლევა, მომთაბარეობასაც ჩინებულად იტანს. წელს თუ მხოლოდ 8000 სული თუშური ცხვარი გვყავს, მომავალში ჩვენი ცხვარი თითქმის მთლიანად ამ ჯიშისა იქნება.

— ჩვენი პარტიული ორგანიზაციის დიდ დამსახურებად მიმაჩნია, რომ მწყემსებს აგრე უყვართ და პატივს სცემენ ერთმანეთს. ასეთი ურთიერთობა სიცოცხლის ძალას, მოქმედების უნარს მატებს ადამიანს, — თქვა კომუნისტმა ჯემალ თინიკაშვილმა.

კომუნისტებმა საანგარიშო კრებაზე მრავალი პრობლემა წამოჭრეს. ე. კარელიძემ მოითხოვა პარტიულმა ბიურომ იზრუნოს ბალაანში საშუალო სკოლის გახსნისათვის. ორასზე მეტ ბავშვს 10-12 კილომეტრის გავლა უხდება სკოლამდე.

კომუნისტების ა. პავლიაშვილის, გ. ბალახამიშვილის, ნ. ქენქაძის, ნ. მიდელაშვილის, ვ. ქენქაძის და სხვათა გამოსვლები კრიტიკული იყო. მათ თქვეს, რომ წლების მანძილზე გადაუჭრელი რჩება მდინარე ქსანზე ხიდის გადების საკითხი, აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმე, მთელ ამ საბჭოში არ არის აბანო, საპარიკმახეროო, თერძი, ფეხსაცმლის შემკეთებელი. არ მუშაობს რადიო, არ არის ტელევიზორი, ამ საკითხების მოგვარება კი ხელს შეუწყობდა მთაში მთიელის შენარჩუნებას.

ბალაანელ კომუნისტთა 45-წევრიანი ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებამ ცხადყო, რომ კომუნისტები ერთსულოვნად არიან დარაზმული მეთერთმეტე ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად.

ბ. თედეევი,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ცხოვრების სიმართლე-სცენის სიმართლე

საქართველოს თეატრალური საზოგადოების IX ყრილობა

გაზეთის გუშინდელ ნომერში უკვე ვიუწყებოდით, ა. ხორავას სახელოვნების მსახიობის სახლში გიმართა რესპუბლიკის თეატრალური საზოგადოების IX ყრილობა, რომელზეც შეჯამეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების უკანასკნელი ხუთი წლის მუშაობის შედეგები, განიხილეს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიერ სცენური ხელოვნების ოსტატთა წინაშე დასახული ამოცანები.

საპატიო პრეზიდიუმში აღფრთოვანებით ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

ყრილობა ირჩევს ფორუმის სამუშაო ორგანოებს: საქმიან პრეზიდიუმს, სამდივნოს, სარედაქციო კოლეგიას, სამნდაფო კომისიებს.

ამტკიცებენ დღის წესრიგს.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის საანგარიშო მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ი. გამრეკელი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების აფხაზეთის განყოფილების გამგე ე. კოღონია, საქართველოს თეატრალური საზოგადოების აჭარის განყოფილების გამგე, დრამატურგი ა. ჩხაიძე, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე ზ. გუკაევი, ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი გ. ქავთარაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი თ. ჭილაძე, შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის დირექტორი და მთავარი რეჟისორი რ. სტურუა, კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი თ. ჩხეიძე, პარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი მ. ქაჯაია. მათ მაღალი პარტიული პოზიციებიდან განიხილეს თანამედროვე ქართული თეატრის ამოცანები.

„შვიდ თვეზე მეტი ხანი გვაშორებს იმ დღეს, როცა მუშაობა დაამთავრა სკკპ XXVI ყრილობამ, აღინიშნა ორატორთა გამოსვლებში, მაგრამ საბჭოთა კომუნისტების უმაღლესი ფორუმის ხმა დღესაც ძალუძდა გაისმის მსოფლიოში. და ეს კანონზომიერია. ყრილობის მთელმა მუშაობამ, ახალი იდეებითა და დასკვნებით აღსავსე მკაფიო მოხსენებამ, რომელიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გააკეთა, ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გრანდიოზულმა გეგმებმა დადასტურა რეალური სოციალიზმის ავანგარდული როლი ადამიანთა საზოგადოების ცხოვრების მაგისტრალური მიმართულებებით.

ჩვენს თეატრს ტაშით აჯილდოებენ, საბჭოთა და საზღვარგარეთელი მაყურებლები, კარგა, მთელი თეატრალური საზოგადოებრიობა გამოხატავენ თავდადამოკიდებულებას იმ ატმოსფერისადმი, რომელშიც მიმდინარეობენ ჩვენი შემოქმედებითი ძიებანი. ბევრმა მეგობარ, რომ ეს ნდობისმხარდაჭერის ატმოსფერო შეიქმნა სწორედ იმ უყურადღების მეთაურობა, რომელსაც ამ გვაკლებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. ქართული თეატრის წარმატება, უწინარეს ყოვლისა, მოწმობს მის მისწრაფებას არ მორჩეს დროს, იყოს პარტიდეების ამტიური გამტარებელი. თუ შემოქმედებითი ნამდვილად ლვებს თანამედროვეობის პრობლემები, იგი უთუოდ შეექმნის რმოვებს, რომელიც მონახავს მოქალაქის გულისა და გონებაკენ, გაიტაცებს მას. ამის მაგალითია ქართული საბჭოთა ხელოვნების მთელი რიგი ახალი ნაწარმოებები, რომლებშიც ნაჩვენებია დვილად კომუნისტური ადამიანის ნიმუშები, ამტიური სოციალისტური მოქმედების გეზი. ამასთან ერთად ბევრი უნდა გარკნობდეს, მასთან სერიოზულად ბეჭობენ, ეუმალავენ სიძნელეებს, უჩვეულო ბამდვილ ცხოვრებას თავისი ... ლური საბრუნავ-საფეიქრალოები. ... ჭიროა, რომ ადამიანმა შეიგრძნოს მისი იმედი აქვთ, საჭიროთ, რომ ... ბევრი რამ შეუძლია.

ორატორებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს თეატრის რეპერტუარო პოლიტიკას, ... ული დრამატურგიის, პროფესიული ოსტატობის ამაღლების, ... ტრალური ცვლის აღზრდის ... ბლემებს. ყრილობაზე აღინიშნა, რომ ქართული სასცენო ხელოვნების ყველა მოღვაწემ მოქმედებ... სახელმძღვანელოდ აღიქვა სკკპ ... თველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილება საქალაქო და რაიონული თეატრების მუშაობის ... დგომი გაუმჯობესებისების შესახებ. ... ცენტრად და პერიფერიად დაყოფილ მუზეუმელია დიდი, ჭეშმარიტად ... ხალხური სულისკვეთების ხელოვნებისათვის.

ქართველი კოლეგების ყურადღებას გულთბილად მიესალმნენ ... ძმე მოკავშირე რესპუბლიკების თეატრალურ საზოგადოებათა კოლეგაციების ხელმძღვანელები.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვეს საქართველოს კომპარტიის ... რალური კომიტეტის მდივანმა ... ენუქიძემ.

ყრილობის მონაწილეებმა ... ხარე ტაშის გრიალით, დიდი ... რთოვნებებით მიიღეს წერილი ... ჭოთა კავშირის კომუნისტური ... ტის ცენტრალური კომიტეტ... სსრ კავშირის უმაღლესი საბ... პრეზიდიუმის, სსრ კავშირის ... ნისტრთა საბჭოსა და პირველ ... ლ. ი. ბრეჟნევისადმი. (საქონფორ...

ზვრებთან წილნაყარობა

ლი საქმე არც მერე წაგვიყვანია ცუდად. რაღა თქმა უნდა, სარეველები ვერას დაგაკლებდა, თუ აღმოცენებისთანავე ან მანამდე მოსპობ, ვიდრე ვენახში სარეველები მაგიულამდე გაიზრდება. მერე მის საწინააღმდეგოდ კოლოსალური შრომაა საჭირო და ხშირად ვერაფერს დავაკლებთ ვაზის სიმაღლე ბალახს. ასე რომ, თავიდანვე უნდა თადარიგის დაჭერა და მერე ვაივიშის ძახილიც არავის დასჭირდება. ასევე თქმის ვაზის გაფურჩნვასა და წვიერების წაჭრაზე. ყველა საქმეს თავის დროზე უნდა მიხედეს.

გამოცდილ თავმჯდომარეს არაფერი ეშლება. ზემოქედელთა ვენახებში ახლაც, რთველის დროსაც, სარეველებს ვერ ნახავთ. მეჭვრეთა შორის და თარგების თავს და ბოლოსაც მიწა საგულდაგულოდ არის გაფხვიერებული. ზემოქედელებს მართლაც შეუძლიათ თქვან: ვაზო, შვილივით ნაზარდო. ისინი ზვრებით არიან მხნედ, გულადად და იმედიანად. წელს თოთხმეტი ათას ტონამდე ყურძენს მიპყიდიან საბელმწიფოს ... და დიდძალ შემოსავალსაც მიიღებენ. პრემიას პრემია დაეტატება და თითოეული მევენახე ორი წლისა და მეტის სარო-სადიელებს მიიღებს. ერთი ეგარის, კერეფას ვეღარ აუდიგარი, გვეშინია, არ გაავდრდესო, ამბობს თავმჯდომარე.

ზემოქედელთა თავმჯდომარის მიბაძვითა და მხარდაჭერით ქვემო ქედისა და არხილოსკალოს კოლმეურნეობათა თავკაცები იოსებ ჯღუთაშვილი და მიხეილ კობაიძე ენერგიისა და ცოდნის დაუშურებლად იღვწიან, ყველფერი ისე უნდათ გააკეთონ, როგორც არსენა აკეთებს. მათი მევენახეებიც ზემოქედელებისავით შრომობენ და საქმეც ურიგოდ

როდი მოუდით — ქვემოქედელები ხუთი ათასი, ხოლო არხილოსკალოელები შვიდი ათასი ტონა ყურძნის დამზადებისათვის იბრძვიან. ასე რომ, ეს სამი კოლმეურნეობა რაიონის გეგმის თითქმის ნახევარს ამზადებს.

უნდა დავასახელოთ მოწინავე მევენახეები. აი ისინი: ზემოქედელები — გოგოლე არაბული, თამარ პეტრიაშვილი, არხილოსკალოელები — პავლე წიკლაური, მაგდანა ბუჩუკური. თითოეული ერთ-ორ ჰექტარ ვენახს უვლის. 90 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე 170 ცენტნერზე მეტი ყურძენი მოიწიეს. მათ არც საბჭოლელები სედა არზუმანიანი, ენენა მურადიანი, ისი ალაზიანი და აბრამ გიგაური ჩამორჩებიან.

ზემმაჩხაანელები და წითელწყაროელები სეტყვისაგან დაზარალდნენ, მერე წვიმაც მოეძალათ და საკმაოდ დაუზიანდათ ზვრები, მაგრამ მუყაითი შრომით, მაინც გადაარჩინეს ვენახები და ზოგი ბრიგადა უზე მოსავალს იღებს. ზემმაჩხაანელთა თავმჯდომარე გივი ბაკაშვილი ამბობს, ვეგმას მაინც შევასრულებთ და საბელმწიფოს ხუთი ათას ტონა ყურძენს მივყიდითო.

— 60 ათასი ტონა ყურძნის მიღება და გადამუშავება არც ისე იოლი საქმეა, — ამბობს **წითელწყაროს რაიონის ღვინის ქარხნის დირექტორი ნოდარ ბალაშვილი,** — ყურძნის შეუფერხებელი მიღებისათვის წელს საგანგებოდ მოვემზადეთ. რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების, „სამტრესტის“ ხელმძღვანელთა დახმარებით, წითელწყაროს და ქედის ღვინის ქარხნებში ყურძნის მიღება გრაფიკის მიხედვით მომდინარეობს. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა მაღალხარისხოვანი ღვინები დავაყენოთ.

სეტყვამ და წვიმებმა სოღნაღის რაიონის ზვრებიც საკმაო ფართობზე დაუზიანა. დიდი შრომისა და ოფლის ფასად გადაარჩინეს ვენახები ძველანაგელებმა, ბოდბისხეველებმა, ჯუგაანელებმა, ტიბაანელებმა, ვაქირელებმა, ხარსელებმა.

— **რობინზონ აბულაშვილი — სოღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი:**

— სიღნაღის რაიონის მეზვრეებს წელს ავდრებმა საზრუნავი გაუორმაგა. სეტყვისაგან მიყენებული ჭრილობები ვაზებს მოშუშებული არც კი ჰქონდა, რომ გადაუღებელი წვიმები დაიწყო. წვიმებმა არ დაგვაცალა, რომ მწკრივთშორის საკულტივაციო სამუშაოები დროზე და მაღალხარისხოვნად შეგვესრულებინა. ვენახებში სარეველა ბალახები წამოიზარდა, ერთობ გადამეტებული ტენისაგან ვაზებმა უამრავი ზედმეტი ყლორტები გამოიტანა, ზოგან მანქანებს მწკრივებში გავლა უჭირდა. ასეთ დროს ზემდგომი ორგანოების მითითებით საგანგებო შტაბი შევქმენით და ვენახებში ქუდზე კაცი მოვუხმეთ. რაკიმაკიანის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების დახმარებით, რაიონის მევენახეებისა და ყველა შრომელის გარჯით ბევრგან გადავარჩინეთ ზვრები. ახლა უზვი რთველი გვაქვს და იმედია, სიტყვას შეასრულებთ, საბელმწიფოს 67 ტონა ყურძენს მივყიდით.

სიღნაღელი მევენახეები მოწინავეთა გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების დანერგვით დიდ წარმატებას აღწევენ. მოწინავეები მათ არ აკლიათ. ძველანაგელი ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირის მიხეილ ღვედაშვილის, ბოდბელი სახელგანთქმული მევენახის ლენინის ორდენოსანი ლადო ჯანიაშვილის გამოცდილების გამოყენებით, ბოდბისხეველი ბრიგადირი სოსო ზურაბაშვილი და ტიბაანელი ლეილა ჯავახიშვილი ყოველწლიურად ყურძნის მოსავლიანობის დავალებას 150 პროცენტით ასრულებს. სახელოვანი მევენახეები ჰყავთ ჯუგაანელებს, ვაქირელებს, ხარსელებს.

რთველი კი მაინც დიდ შრომასა და გარჯას მოითხოვს. ამინდი შეიძლება გაუარესდეს, ამიტომ ჩქარობენ მეზვრეები, მაგრამ მარტო ისინი რას გახდებიან. ამიტომ მივმართავთ ყველას, ვისაც გული შესტკივა, ვისთვისაც ძვირფასია რესპუბლიკის სახელი და ღირსება — მივხდოთ მევენახეებს, დახმარების ხელი გავუწოდოთ ჩვენს სახელოვან მეზვრეებს, რომ უკლებლივ მოგვრიფოთ ყურძენი.

ვ. გოზალიშვილი,
ვ. მჰედლიშვილი.

„კომუნისტის“ სპეც. კორეს-პონდენტები.

სურათებზე: ზემოთ — წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობის ბრიგადირი ვ. გიგაური და თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ა. კობაძე; ქვემოთ — სიღნაღის რაიონის ტიბაანის კოლმეურნეობის მევენახე, საკავშირო კომკავშირის პრემიის ლაურეატი ლეილა ჯავახიშვილი რთველში.

ვ. ფალიანის (საქინფორმის) ფოტოქრონიკა) და ვ. ბენგიშვილის ფოტო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წინ

კვლევის ხარისხი უკუგებაა

მეცნიერთა წინადადებები



ალექსანდრ ალექსანდრეს ძე ბოგომოლეცი (1868—1946) — ... ეროვნული ბიბლიოთეკის ... ...

საკავშირო
ლენინური
ალიანსი

საკავშირო ლენინური ალიანსი

ფაქტები □ მოვლენები □ კომენტარი □ გამოხმაურება

● ავღანეთი

მ. ტეტჩერის პროვოკაციული განცხადების გამო

ქაბული. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა გადაჭრით დაგმო დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მ. ტეტჩერის პროვოკაციული ანტიავღანური და ანტისაბჭოური განცხადებები პაკისტანში მისი ამასწინანდელი ვიზიტის დროს.

ეს გამონათქვამები, რომლებიც შეფასებულია როგორც ავღანეთის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, ზიანს აყენებს ორ ქვეყანას შორის ნორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობას, განაცხადა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო აღშფოთებას გამოთქვამს დემოკრატიული ავღანეთის მიმართ ინგლისის მთავრობის მაღალი თანამდებობის მოღვაწეთა მტრული საქმიანობის გამო და აცხადებს, რომ ავღანეთის მთავრობა იძულებული იქნება შეისწავლოს სიტუაცია ზემოთ ნახსენები ფაქტების შესაბამისად და გამოიტანოს საჭირო დასკვნები. იგი დიდი ბრიტანეთის მთავრობას აკისრებს მთელ პასუხისმგებლობას ამ აქციის შესაძლებელი შედეგებისათვის.

● ინდოეთი

დაძაბული ვითარება

დელი. დაძაბული ვითარება შეიქმნა იდოეთის პენჯაბის შტატში, სადაც დასავლეთის სპეციალურ სახმახურებისა და პეკინის მხარდაჭერით გააქტიურეს ძირგამომთხრელი საქმიანობა სიპარატისტებმა, რომლებიც მოითხოვენ „ჰალისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს“ შექმნას.

უკანასკნელ დღეებში ექსტრემისტებმა მოაწყვეს აფეთქებების სერია პენჯაბის ადმინისტრაციულ ცენტრში — ჩანდიგარჰში, ამრიცსარში, მოგაში, ფარიდკოტში, ფჰატინდისა და ბურუდასპურის დისტრიქტებში, იუწყებიან პრესტრასტ ოფ ინდიასა და იუნაიტედ ნიუს ოფ ინდიას საინფორმაციო საგენტოები. ამ ტეროროისტული აქციების შედეგად არიან დაჭრილები, დაიწვა ნავთობსატუმბო სადგური, პოლიციის უბანი, რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, ადმინისტრაციული შენობა და მაღაზია.

ინდოეთის მთავრობა ახორციელებს საგანგებო ღონისძიებებს პენჯაბში მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის.

● ირანი

შეტაკებანი დედაქალაქში

თეირანი. ერთ საათზე შეტ ხანს გრძელდებოდა ირანის დედაქალაქის ქუჩებში ცხარე შეტაკებანი უშიშროების ძალებსა და რეჟიმის მოწინააღმდეგეთა შორის. ოფიციალური წარმომადგენლის თქმით, „ისლამური რესპუბლიკის გუშაგებმა“ აღმოაჩინეს რეჟიმის მოწინააღმდეგეთა რამდენიმე კოსპირაციული ბინა და მათზე იერიში მიიტანეს ტყვიამფრქვევებით, ავტომატებითა და ხელყუბარებით, მათ შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს.

ამავე დროს ცალკეული შეიარაღებული ჯგუფები მოტოციკლებით თავს დაესხნენ „გუშაგებს“ ზურგიდან, რამაც გაიფართოვა შეტაკების მასშტაბები.

უკანასკნელ ხანს დასავლეთის პრესაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა ორგანოებში „სამოქალაქო უფლება“ მოიპოვა ტერმინმა „მეორე ცივი ომი“. უპირველეს ყოვლისა ამერიკელი პოლიტოლოგები და მიმომხილველები თანამედროვე მდგომარეობის შეფასებისას სულ უფრო ხშირად იხსენებენ 50-იანი წლების პრაქტიკას. ობიექტურობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ კარტერის ადმინისტრაციის ფუნქციონირების ბოლო და რეიგანის ადმინისტრაციის დასაწყისი ეტაპი გარკვეულ საფუძველს იძლევა ასეთი პესიმისტური დასკვნებისათვის. მით უმეტეს, რომ საბჭოთა-სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი საარსებოდ არის დაინტერესებული საერთაშორისო ვითარების გართულებით.

შექმნილ სიტუაციაში, ბუნებრივია, თავისთავად იბადება კითხვა: რამდენად რეალური და გამართლებულია ახალ „ცივ ომზე“ ლაპარაკი? როგორ შეფასებას მოითხოვს თანამედროვე საერთაშორისო ვითარება? და, რაც მთავარია, ძალუძს თუ არა რეიგანის ადმინისტრაციას გლობალური კონფრონტაციის ხანად აქციოს 80-იანი წლები?

ჩვენი აზრით, დაძაბულობის შენელების პოლიტიკის საპასუხო რეაქცია 70-იანი წლების დამდეგიდანვე იგრძნობოდა. პირველი ნიშანი იყო სენატორ ჯექსონის ავტედითი შესწორება, როდესაც სენატი სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის პირველ დროებით ხელშეკრულებას იხილავდა. მაშინ ჯექსონმა მოითხოვა, რომ აღნიშნულ სფეროში მომავალი ხელშეკრულებები ითვალისწინებდნენ საბჭოთა კავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების არსენალებში რაკეტების რაოდენობათა ზუსტი თანაფარდობის გარანტიას. სენატმა მიიღო ჯექსონის შესწორება. თუმცა განიარაღების პრობლემის სპეციალისტი დიპლომატები სრულიად წინააღმდეგნი იყვნენ ასეთი შესწორებისა. მათი მტკიცებით, მოლაპარაკების დროს შეთანხმების მისაღწევად შეიძლება გამოყენებულ იქნეს თვისებრივ და რაოდენობრივ მაჩვენებელთა რაიმე შეხამება, რაც გააადვილებს საერთო ენის გამოძებნას, უფრო სერიოზული ნეგატიური შედეგები მოჰყვა ჯექსონ-ვანიკის 1974 წლის შესწორებას, რომელიც დღემდე გადაულახავ ზღუდედ აღიმართა ორი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოების გზაზე. ბუნებრივია, რომ ამას თავისი პოლიტიკური მხარეც ჰქონდა.

ვლადივოსტოკი და ჰელსინკი უკვე ძირითადად საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის შედეგი იყო. რაც შეეხება ვაშინგტონს, დაძაბულობის შენელების კურსი სულ უფრო და უფრო სერიოზულ სიძნელეებს აწყდება თვით მმართველ რესპუბლიკურ პარტიაშიც და, საბოლოო ანგარიშით, 1976 წლის საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში პრეზიდენტი ფორდი საკუთარი ლექციკონიდან იღებს ტერმინს „დაძაბულობის შენელება“. დაძაბულობის შენელების მომხრეთა წინააღმდეგ ბრძოლაში გააქტიურდნენ გავლენიანი დემოკრატებიც, რომლებიც თავის დროზე პრეზიდენტ ჯონსონის მრჩეველნი და ახლო მეგობრები იყვნენ. ჯერ კიდევ 1974 წლის ზაფხულში დაძაბულობის შენელების საწინააღმდეგო მანიფესტი გამოაქვეყნეს თავის დროზე ვიეტნამის ომის ერთგულმა მომხრე დემოკრატებმა. მანიფესტში მითურ „საბჭოთა საფრთხეზე“ მიუთითებდა და ამერიკის ლეგალაური ოოლის გაგრძელებას მოითხოვდა. დოკუმენტი შეადგინა საგარეო პოლიტიკის სპეციალისტთა ჯგუფმა პრეზიდენტ ჯონსონის დროს სახელმწიფო მდივნის მოადგილის, ამჟამად განიარაღებისა და შეიარაღებისადმი კონტროლის საგენტოს დირექტორის როსტოუს ხელმძღვანელობით. თვით ჯგუფი კი დაარქვა „დემოკრატიული უმრავლესობის კოალიციის“ ეგიდით. კარტერის პრეზიდენტად არჩევიდან სამი დღის შემდეგ კოალიციამ შეიცვალა სახელი და ასე იშვა დღეს კარგად ცნობილი „არსებული საშიშროების კომიტეტი“ — ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე რეაქციული გაერთიანება. კომიტეტის პირველი იდეოლოგიური ზალი იყო ისეთი საგარეო-პოლიტიკური კურსისათვის მოწოდება, რომელიც წინ აღუდგებოდა მსოფლიო ბატონობისაკენ „საბჭოეთის სწრაფვას“. კომიტეტის ხელმძღვანელ ორგანოში — საბჭოში შედიან: იგივე როსტოუ, კენედის მთავრობის სახელმწიფო მდივანი რასკი, ნიქსონის მთავრობის თავდაცვის მინისტრის მოადგილე პაკარდი და პოლიტიკური რენეგატები კონელი და ნიტცე, რომელნიც სხვადასხვა დროს ორივე პარტიის წევრები იყვნენ.

კარტერი პრაქტიკულად ყველაფერს აკეთებს, რასაც მისგან „გრეთ წოდებული „ნეოკონსერვატორები“ მოითხოვენ: ზრდის სამხედრო ხარჯებს, აქეთკენვე უბიძგებს ნატოს და საკუთარი ხელმწიფრის დეზავუირებას ახდენს ორ მნიშვნელოვან დოკუმენტზე: ჯერ ახლო აღმოსავლეთის პრობლემაზე საბჭრო კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივ განცხადებაზე, ხოლო შემდეგ კი ვენის ისტორიულ ხელშეკრულებაზე. საგანგებო სამართლიანად იყო აღნიშნული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომ კარტერის ადმინისტრაცია „შეუდგა ყველა იმ დადებითის მსხვრევას, რაც დიდი შრომის ფასად შეიქმნა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში წინა წლებში.

1978 წლის აგვისტოს დამდეგს კონგრესის 148-ე წევრმა გამოაცხადა ახალი ორგანიზაციის — „ძალის პოზიციიდან მშვიდობის კოალიციის“ შექმნა, რომლის მიზანია საბჭოთა კავშირთან შედარებით სამხედრო უპირატესობის მიღწევა. ეს ორპარტიული დაჯგუფება ადმირალების, გენერლების, პრეზიდენტების ყოფილი მრჩევლების, შტაბების უფროსთა კომიტეტის წარმომადგენლების მონაწილეობით დააარსა ფიშერმა — ეგრეთ წოდებული ამერიკის უსაფრთხოების საბჭოს პრეზიდენტმა:

მართალია, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების მოწინააღმდეგეთა ალიანსმა თავისი საქმიანობა ოფიციალურად ვერ ვერ ... ...

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო

განცხადება მიღებას

1981-82 სასწავლო წლისათვის რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული მოსამზადებელი განყოფილებების დღის სწავლებაზე

სწავლის ხანგრძლივობა — 8 თვე

მსმენელები ულიმიტოდ მიიღებიან რესპუბლიკის შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში:

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სახელმწიფო უნივერსიტეტში (მოსამზადებელი განყოფილება)

(ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 17).

შემსვლელთათვის შემდეგ სპეციალობებზე:

— მათემატიკა (ქართ. სექტ. 29 ადგ.); გამოყენებითი მათემატიკა (ქართ. სექტ. 12 ადგ. რუს. სექტ. 3 ადგ.); ფიზიკა (ქართ. სექტ. 21 ადგ. რუს. სექტ. 10 ადგ.); რადიოფიზიკა და ელექტრონიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ. რუს. სექტ. 5 ადგ.); სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდები (ქართ. სექტ. 5 ადგ.); გეოლოგიური აგებგმა და სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ძებნა-ძიება (ქართ. სექტ. 6 ადგ.); მეტეოროლოგია (ქართ. სექტ. 5 ადგ.); მანქანათმშენებლობის მრეწველობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, (ქართ. სექტ. 5 ადგ.); მშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია (ქართ. სექტ. 5 ადგ.); ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაცია (ქართ. სექტ. 10 ადგ.); ნახევარგამტარები და დიელექტრიკები (ქართ. სექტ. 6 ადგ.) — **გახაუბრება — მათემატიკასა და ფიზიკაში.**

— ქიმია (ქართ. სექტ. 15 ადგ.); საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაცია (ქართ. სექტ. 20 ადგ.); საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაცია (ქართ. სექტ. 10 ადგ.); საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა და ორგანიზაცია (ქართ. სექტ. 5 ადგ.) — **მათემატიკასა და ქიმიაში;**

— ისტორია (ქართ. სექტ. 12 ადგ.); ქართული ენა და ლიტერატურა (15 ადგ.); რუსული ენა და ლიტერატურა (15 ადგ.); სამართალმცოდნეობა (ქართ. სექტ. 19 ადგ.); ფილოსოფია (ქართ. სექტ. 4 ადგ.); აღმოსავლური ენები და ლიტერატურა (ქართ. სექტ. 4 ადგ.); საზღვარგარეთის აღმოსავლეთის ქვეყნების ქვეყანათმცოდნეობა (ქართ. სექტ. 3 ადგ.) — **სსრ კავშირის ისტორიაში და მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში;**

— გეოგრაფია (ქართ. სექტ. 9 ადგ.); პოლიტიკური ეკონომია (ქართ. სექტ. 2 ადგ.); ფინანსები და კრედიტი (ქართ. სექტ. 10 ადგ.); სტატისტიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); საბუღალტრო აღრიცხვა (ქართული სექტ. 40 ადგ. რუს. სექტ. 9 ადგ.); სახალხო მეურნეობის დაგეგმვა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); მრეწველობის დაგეგმვა (ქართ. სექტ. 6 ადგ., რუს. სექტ. 5 ადგ.); შრომის ეკონომიკა (ქართ. სექტ. 10 ადგ.); ვაჭრობის ეკონომიკა (ქართ. სექტ. 10 ადგ.); მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკა და დაგეგმვა (ქართ. სექტ. 10 ადგ.); — **მათემატიკასა და გეოგრაფიაში.**

— ბიოლოგია (ქართ. სექტ. 15 ადგ.); სოფლის მეურნეობის დაგეგმვა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); — **მათემატიკასა და ბიოლოგიაში;**

აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (მოსამზადებელი განყოფილება)

(ქ. სოხუმი, ჩოჩუას ქ. № 40).

შემსვლელთათვის შემდეგ სპეციალობებზე;

— მათემატიკა (ქართ. სექტ. 4 ადგ. რუს. სექტ. 4 ადგ.); ფიზიკა ქართ. სექტ. 5 ადგ. რუს. სექტ. 5 ადგ.); ზოგადტექნიკური დისციპლინები და ფიზიკა (ქართ. სექტ. 4 ადგ.); **გახაუბრება — მათემატიკასა და ფიზიკაში;**

— მრეწველობის დაგეგმვა (რუს. სექტ. 5 ადგ.); ვაჭრობის ეკონომიკა (აფხაზ. სექტ. 5 ადგ.); საბუღალტრო აღრიცხვა (ქართ. სექტ. 4 ადგ. რუს. სექტ. 4 ადგ. აფხაზ. სექტ. 4 ადგ.); გეოგრაფია (რუს-სექტ. 6 ადგ.) — **მათემატიკასა და გეოგრაფიაში;**

— ქართული ენა და ლიტერატურა (5 ადგ.); რუსული ენა და ლიტერატურა (5 ადგ.); აფხაზური ენა და ლიტერატურა (5 ადგ); სამართალმცოდნეობა (ქართ. სექტ. 3 ადგ., რუს. სექტ. 3 ადგ.) ისტორია (აფხაზ. სექტ. 6 ადგ.) — **მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და სსრ კავშირის ისტორიაში.**

— ინგლისური ენა და ლიტერატურა (ქართ. სექტ. 2 ადგ.); გერმანული ენა და ლიტერატურა (აფხაზ. სექტ. 2 ადგ.) — **მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და უცხო ენაში;**

— დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა (აფხაზ. სექტ. 6 ადგ.) — **აფხაზურ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში.**

— სკოლამდელთა აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია (რუს. სექტ. 5 ადგ.); — **მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და ბიოლოგიაში;**

— ბიოლოგია (ქართ. სექტ. 4 ადგ. რუს. სექტ. 4 ადგ.) — **ბიოლოგიასა და ქიმიაში.**

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ორდენოსან სახელმწიფო უნივერსიტეტში (მოსამზადებელი განყოფილება)

(ქ. სოხუმი, ლენინის ქ. № 77, მე-5 კორპუსი)

შემსვლელთათვის შემდეგ სპეციალობებზე:

— სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (ქართ. სექტ. 10 ადგ. რუს. სექტ. 3 ადგ.); მშენებლობა (ქართ. სექტ. 3 ადგ.); სამშენებლო ნაგებობათა და კონსტრუქციების წარმოება (ქართ. სექტ. 3 ადგ.); ელექტროსადგურები (ქართ. სექტ. 5 ადგ.); ელექტროსისტემები და ქსელები (ქართ. სექტ. 5 ადგ.); ქალაქის სამრეწველო საწარმოთა და სოფლის მეურნეობის ელექტრომომარაგება (ქართ. სექტ. 5 ადგ.); თბოელექტროსადგურები (ქართ. სექტ. 3 ადგ.); სამრეწველო თბოენერგეტიკა (ქართ. სექტ. 3 ადგ.); ელექტრომაძრავი და სამრეწველო საწარმოთა ავტომატიზაცია (ქართ. სექტ. 2 ადგ.); სამარკშაიდერო საქმე (ქართ. სექტ. 3 ადგ.); სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური მექანიზაცია (ქართ. სექტ. 3 ადგ.); სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრება (ქართ. სექტ. 3 ადგ.); სამთო საშუშაოთა ელექტროფიკაცია და ავტომატიზაცია (ქართ. სექტ. 3 ადგ.); სამთო მანქანები და კომპლექსები (ქართ. სექტ. 3 ადგ.); მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (ქართ. სექტ. 10 ადგ.); მანქანათმშენებლობა (ქართ. სექტ. 3 ადგ.); თვითმფრინავთმშენებლობა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); გამოყენებითი გეოდეზია (ქართ. სექტ. 3 ადგ.); სამაცივრო და საკომპრესორო მანქანები და მოწყობილობა (ქართ. სექტ. 3 ადგ.); საინფორმაციო-საზომი ტექნიკა (ქართ. სექტ. 3 ადგ.); ავტომატიკა და ტელემექანიკა (რუს. სექტ. 3 ადგ.); ელექტრონული და გამომთვლელი მანქანები (რუს. სექტ. 3 ადგ.); მართვის ავტომატიზებული სისტემები (ქართ. სექტ. 3 ადგ.); ვაგონმშენებლობა და სავაგონო მეურნეობა (ქართ. სექტ. 3 ადგ.); რკინიგზის მშენებლობა, გზა და საგზაო მეურნეობა (ქართ. სექტ. 3 ადგ.); საავტომობილო გზები (ქართ. სექტ. 3 ადგ.); ხიდები და გვირაბები (ქართ. სექტ. 3 ადგ.); რკინიგზის ტრანსპორტის ელექტრიფიკაცია (ქართ. სექტ. 5 ადგ.); ავტომატიკა, ტელემექანიკა და კავშირგაბმულობა რკინიგზის, ტრანსპორტზე (ქართ. სექტ 3 ადგ.); რკინიგზის ექსპლოატაცია (ქართ. სექტ. 5 ადგ.); სამდინარო ნაგებობათა და ჰიდროელექტროსადგურების ჰიდროტექნიკური მშენებლობა (ქართ. სექტ. 3 ადგ.); თბომომარაგება და ვენტილაცია (ქართ. სექტ. 5 ადგ.); წყალმომარაგება და კანალიზაცია (რუს. სექტ. 2 ადგ.); ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია (ქართ. სექტ. 3 ადგ.); სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დაზვერვის ტექნოლოგია და ტექნიკა (ქართ. სექტ. 3 ადგ.); სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა გეოლოგიური აგებგმა და ძიება (ქართ. სექტ. 3 ადგ.); ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვა (ქართ. სექტ. 3 ადგ.); ნავთობისა და გაზის საბადოთა გეოლოგია და ძიება (ქართ. სექტ. 3 ადგ.); ნავთობისა და გაზის საბადოთა დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური მექანიზაცია (ქართ. სექტ. 3 ადგ.); ავტომატური ელექტროკავშირგაბმულობა (რუს. სექტ. 3 ადგ.); მრავალარხიანი ელექტროკავშირგაბმულობა (ქართ. სექტ. 3 ადგ.); რადიოკავშირგაბმულობა და რადიომაუწყებლობა (ქართ. სექტ. 3 ადგ.); რადიოტექნიკა (რუს. სექტ. 3 ადგ.); საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების საწარმოების მექანიკური მოწყობილობა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); ელექტრომანქანები (ქართ. სექტ. 3 ადგ.); ელექტროსაიზოლაციო და საკაბელო ტექნიკა (ქართ. სექტ. 3 ადგ.); სამრეწველო ელექტრონიკა (რუს. სექტ. 3 ადგ.); ელექტრონული აპარატები (ქართ. სექტ. 5 ადგ.); **გახაუბრება — მათემატიკასა და ფიზიკაში.**

— არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია (ქართ. სექტ. 2 ადგ.); ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგია (ქართ. სექტ. 2 ადგ.); მჟავა მასალების ქიმიური ტექნოლოგია (რუს. სექტ. 5 ადგ.); კერამიკისა და ცეცხლმედეგი მასალების ქიმიური ტექნოლოგია (ქართ. სექტ. 2. ადგ.); მინის და სიტალების ქიმიური ტექნოლოგია (ქართ. სექტ. 2 ადგ.); ფაი ლითონების მეტალურგია (ქართ. სექტ. 5 ადგ.); ფაი და ფერადი ლითონების სამსხმელი წარმოება (ქართ. სექტ. 10 ადგ.); ლითონმცოდნეობა, ლითონთა თერმული დამუშავების მოწყობილობა და ტექნოლოგია (ქართ. სექტ. 5 ადგ.); ლითონის წნევით დამუშავება (ქართ. სექტ. 10 ადგ.); შედუღების წარმოების მეტალურგია და ტექნოლოგია (ქართ. სექტ. 5 ადგ.); — **მათემატიკასა და ქიმიაში.**

— წიგნთმცოდნეობა და წიგნის ვაჭრობის ორგანიზაცია (მოსკოვის პოლიგრაფიული ინსტიტუტი, 1 ადგ.) — **რუსულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასა და გეოგრაფიაში.**

— პოლიგრაფიული მანქანები (მოსკოვის პოლიგრაფიული ინსტიტუტი, 1 ადგ.); ელექტრონული სამედიცინო აპარატურა (ლენინგრადის ელექტროტექნიკური ინსტიტუტი, 1 ადგ); ლოკომოტივმშენებლობა (ხარკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 2 ადგ.) — **რუსულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასა და ფიზიკაში.**

— ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ქიმიური ტექნოლოგია (მოსკოვის წმინდა ქიმიური ტექნოლოგიის ინსტიტუტი, 2 ადგ.); ქსოვილების გამომყვანი წარმოება და ქიმიური ტექნოლოგია (1 ადგ.); სამკერვალო ნაწარმის ტექნოლოგია (მოსკოვის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, 1 ადგ.); სამკერვალო ნაწარმის კონსტრუირება (ლენინგრადის მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის ინსტიტუტი, 1 ადგ.); ხორცისა და ხორცის პროდუქტების ტექნოლოგია (კიევის კვების მრეწველობის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, 2 ადგ.); ტყავისა და ბეწვის ტექნოლოგია (1 ადგ.); ტყავის ნაკეთობათა ნაწარმის კონსტრუირება (კიევის მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, 1 ადგ.); თევზის პროდუქტების ტექნოლოგია (კალინინგრადის თევზის მრეწველობისა და მეურნეობის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, 2 ადგ.) — **რუსულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასა და ქიმიაში.**

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (მოსამზადებელი განყოფილება)

(ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 32).

შემსვლელთათვის შემდეგ სპეციალობებზე:

— ქართული ენა და ლიტერატურა (7 ადგ.); რუსული ენა და ლიტერატურა (5 ადგ.); რუსული ენა, ლიტერატურა ეროვნულ სკოლაში (6 ადგ.); ბიბლიოთეკათმცოდნეობა და ბიბლიოგრაფია (ქართ. სექტ. 5 ადგ.); ისტორია-პედაგოგიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); **გახაუბრება — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და სსრ კავშირის ისტორიაში;**

— რუსული ენა და ლიტერატურა და ქართული ენა, ლიტერატურა (5 ადგ.);

სომხური ენა, ლიტერატურა და ქართული ენა, ლიტერატურა (5 ადგ.) — **მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და ქართულ ენასა და ლიტერატურაში.**

— აზერბაიჯანული ენა, ლიტერატურა და რუსული ენა, ლიტერატურა (5 ადგ.); — **მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და რუსულ ენასა და ლიტერატურაში;**

— დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); — **ქართულ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში;**

— სკოლამდელთა აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია (ქართ. სექტ. 4 ადგ., რუს. სექტ. 2 ადგ.); — **მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და ბიოლოგიაში;**

— მათემატიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ. რუს. სექტ. 4 ადგ.); ფიზიკა (ქართ. სექტ. 8 ადგ.); ზოგადტექნიკური დისციპლინები და შრომა (ქართ. სექტ. 5 ადგ.) — **მათემატიკასა და ფიზიკაში;**

— ბიოლოგია-ქიმია (რუს. სექტ. 5 ადგ.) — **ბიოლოგიასა და ქიმიაში;**

— ქიმია-ბიოლოგია (ქართ. სექტ. 5 ადგ.) — **ქიმიასა და მათემატიკაში;**

— გეოგრაფია-ბიოლოგია (ქართ. სექტ. 5 ადგ.) — **გეოგრაფიასა და ბიოლოგიაში.**

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (ქ. ცხინვალი, მოსკოვის ქ. 8)

შემსვლელთათვის შემდეგ სპეციალობებზე:

— ქართული ენა, ლიტერატურა და ისტორია (7 ადგ.); რუსული ენა, ლიტერატურა და ისტორია (6 ადგ.)— **გახაუბრება მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და სსრ კავშირის ისტორიაში;**

— მათემატიკა და ფიზიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ., რუს. სექტ. 3 ადგ.) — **მათემატიკასა და ფიზიკაში.**

— ბიოლოგია (რუს. სექტ. 5 ადგ.) — **ბიოლოგიასა და ქიმიაში.**

თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (თელავი, წრიული 1).

შემსვლელთათვის შემდეგ სპეციალობებზე:

— რუსული ენა და ლიტერატურა (4 ადგ.); ისტორია (ქართ. სექტ. 4 ადგ.) **გასაუბრება მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და სსრ კავშირის ისტორიაში;**

— მათემატიკა, ფიზიკა (ქართ სექტ. 4 ადგ.) — **მათემატიკასა და ფიზიკაში.**

— ფიზიკური აღზრდა (ქართ. სექტ. 4 ადგ.); დაწყებითი სამხედრო მომზადება და ფიზიკური აღზრდა (ქართ. და რუს. სექტ. 75 ადგ.) — **ბიოლოგიასა და ქიმიაში.**

თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 45)

შემსვლელთათვის ქართული სექტორის შემდეგ ფაკულტეტებზე:

— ინგლისური ენა, ლიტერატურა (16 ადგ.); გერმანული ენა, ლიტერატურა (8 ადგ.); ფრანგული ენა, ლიტერატურა (8 ადგ.) — **გახაუბრება — უცხო ენასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში.**

ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (მოსამზადებელი განყოფილება)

(ქუთაისი, კიროვის ქ. № 55).

შემსვლელთათვის შემდეგ სპეციალობებზე:

— ქართული ენა და ლიტერატურა (6 ადგ.); რუსული ენა, ლიტერატურა ეროვნულ სკოლაში (5 ადგ.); ისტორია (ქართ. სექტ. 5 ადგ.) — **გასაუბრება მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და სსრ კავშირის ისტორიაში.**

— მათემატიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); ფიზიკა (ქართ. სექტ. 4 ადგ.); ზოგადტექნიკური დისციპლინები და ფიზიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ) — **მათემატიკასა და ფიზიკაში;**

— ბიოლოგია-ქიმია (ქართ. სექტ. 5 ადგ.) — **ბიოლოგიასა და ქიმიაში;**

— დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ.) — **მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში;**

— სკოლამდელთა აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია (ქართ. სექტ. 4 ადგ.) — **ქართულ ენასა და ლიტერატურაში და ბიოლოგიაში.**

ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (ბათუმი, ნინოშვილის ქ. № 35)

შემსვლელთათვის შემდეგ სპეციალობებზე:

— ქართული ენა, ლიტერატურა და ისტორია (5 ადგ.); რუსული ენა და ლიტერატურა (4 ადგ.); რუსული ენა და ლიტერატურა ეროვნულ სკოლაში (4 ადგ.) — **გასაუბრება მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და სსრ კავშირის ისტორიაში;**

— მათემატიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); ფიზიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ.); ზოგადტექნიკური დისციპლინები და შრომა (ქართ. სექტ. 5 ადგ.) — **მათემატიკასა და ფიზიკაში;**

— გეოგრაფია-ბიოლოგია (ქართ. სექტ. 5 ადგ.) — **გეოგრაფიასა და ბიოლოგიაში;**

— დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა (ქართ. სექტ. 4 ადგ.) — **მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში;**

— ქიმია-ბიოლოგია (ქართ. სექტ. 5 ადგ.) — **ქიმიასა და მათემატიკაში.**

გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. № 37).

შემსვლელთათვის შემდეგ სპეციალობებზე;

— ქართული ენა, ლიტერატურა და ისტორია (5 ადგ.); რუსული ენა და ლიტერატურა (4 ადგ.) — **გასაუბრება მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და სსრ კავშირის ისტორიაში;**

— ფიზიკა (ქართ. სექტ. 4 ადგ.) — **მათემატიკასა და ფიზიკაში;**

— დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა (ქართ. სექტ. 5 ადგ) — **ქართულ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში;**

— გეოგრაფია (ქართ. სექტ. 4 ადგ.) — **გეოგრაფიასა და ბიოლოგიაში.**

— ფიზიკური აღზრდა (ქართ სექტ. 6 ადგ.) — **ბიოლოგიასა და ქიმიაში.**

ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის კოლიტექნიკური ინსტიტუტში (მოსამზადებელი განყოფილება)

(ქუთაისი, ახალგაზრდობის პრ. № 62).

შემსვლელთათვის ქართული სექტორის შემდეგ სპეციალობებზე:

— მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (5 ადგ.); შედუღების წარმოების ტექნოლოგია და მოწყობილობანი (2 ადგ.); მსუბუქი მრეწველობის მანქანები და აპარატები (2 ადგ.); ავტომობილები და ტრაქტორები (3 ადგ.); შიდაწვის ძრავები (2 ადგ.); საგზაო და სამშენებლო მანქანები და მოწყობილობანი (3 ადგ.); კვების მრეწველობის საწარმოთა მანქანები და აპარატები (4 ადგ.) — **გასაუბრება მათემატიკასა და ფიზიკაში.**

— ნატურალური და ქიმიური ბოჭკოების დართვა (2 ადგ.); ტრიკოტაჟის წარმოება (2 ადგ.)); სამკერვალო ნაწარმის ტექნოლოგია (4 ადგ.); ყავის ნაწარმის ტექნოლოგია (2 ადგ.); ქსოვა (2 ადგ.); პურის ცხობის, მაკარონისა და საკონდიტრო წარმოების ტექნოლოგია (2 ადგ.); საზოგადოებრივი კვების ტექნოლოგია და ორგანიზაცია (4 ადგ.); გამომყვანი წარმოების ქიმიური ტექნოლოგია და მოწყობილობა (2 ადგ.); ხის დამუშავების ტექნოლოგია (4 ადგ.) — **მათემატიკასა და ქიმიაში.**

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში (მოსამზადებელი განყოფილება)

(ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. № 32).

შემსვლელთათვის შემდეგ ფაკულტეტებზე:

— სამკურნალო (ქართ. სექტ. 50 ადგ., რუს. სექტ. 20 ადგ.); პედიატრიის (ქართ. სექტ. 40 ადგ.); სანიტარია-ჰიგიენის (ქართ. სექტ. 20 ადგ.); სტომატოლოგიის (ქართ. სექტ. 15 ადგ.); ფარმაცევტიკის (ქართ. სექტ. 25 ადგ.) — **გასაუბრება ფიზიკასა და ქიმიაში.**

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (მოსამზადებელი განყოფილება)

(ქ. თბილისი, დიღომი, საქართველოს სამხედრო გზის მე-13 კილომეტრი)

შემსვლელთათვის ქართული სექტორის შემდეგ სპეციალობებზე:

— აგროსაინჟინრო (2 ადგ.); აგროქიმია — ნიადაგთმცოდნეობა (5 ადგ.); აგროსაინჟინრო მელიორაცია (3 ადგ.); აგროსაინჟინრო საკვებმწარმოებლობა (2 ადგ.); მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობა (3 ადგ.); ხილოსტნეულის შენახვისა და პირველადი გადამუშავების ტექნოლოგია (3 ადგ.); მცენარეთა დაცვა (3 ადგ.); აგროსაინჟინრო მეაბრეშუმეობა (5 ადგ.) — **გასაუბრება — ფიზიკასა და ქიმიაში.**

— სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (4 ადგ.); მეცხოველეობის ფერმების მექანიზაცია (4 ადგ.); სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია (8 ადგ.); ჰიდრომელიორაცია (9 ადგ.); მიწათმოწყობა (8 ადგ.); სატყეო-სამეურნეო (2 ადგ.) — **მათემატიკასა და ფიზიკაში;**

— სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია (6 ადგ.); საბუღალტრო აღრიცხვა (2 ადგ.) — **მათემატიკასა და გეოგრაფიაში.**

საქართველოს ზოოტექნიკურ-საცვეტერინარო სასწავლო-კვლევითს ინსტიტუტში

(ქ. თბილისი, კრწანისი)

შემსვლელთათვის ქართული სექტორის შემდეგ ფაკულტეტებზე;

— ზოოსაინჟინრო (15 ადგ.); საცვეტერინარო (21 ადგ.)— **გასაუბრება ფიზიკასა და ქიმიაში.**

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში (მოსამზადებელი განყოფილება)

(ქ. სოხუმი, კელასური).

შემსვლელთათვის შემდეგ სპეციალობებზე:

— სუბტროპიკული მეურნეობა (ქართ. სექტ. 15 ადგ. რუს. სექტ. 5 ადგ.); დეკორატიული (ქართ. სექტ. 6 ადგ.); აგრომელიორაციული (ქართ. სექტ. 6 ადგ.) — **გასაუბრება ბიოლოგიასა და ფიზიკაში;**

— ტექნოლოგიური (ქართ. სექტ. 4 ადგ., რუს სექტ. 5 ადგ.) — **მათემატიკასა და ქიმიაში;**

— მექანიზაცია (ქართ. სექტ. 14 ადგ., რუს. სექტ. 5 ადგ.) — **მათემატიკასა და ფიზიკაში.**

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტთან არსებული. მოსამზადებელი განყოფილება ამზადებს მსმენელებს აგრეთვე სამხრეთ ოსეთისა და თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტებში ჩასარიცხად, ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტთან არსებული — ამზადებს მსმენელებს ბათუმის შ. რუსთაველის სახელობისა და გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტებში ჩასარიცხად, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან არსებული — ამზადებს მსმენელებს აგრეთვე საქართველოს ზოოტექნიკურ-საცვეტერინარო სასწავლო-კვლევითს ინსტიტუტში ჩასარიცხად.

უმაღლესი სასწავლებლების მოსამზადებელ განყოფილებებზე მიიღებიან სსრ კავშირის 34 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ საშუალო განათლება და პრაქტიკული მუშაობის სტაჟი — მოწინავე მუშები, კოლმეურნეები და თადარიგში დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურეები სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ორგანიზაციათა, გეოლოგიურ-სადაზვერვო და ტოპოგრაფიულ-გეოდეზიურ ორგანიზაციათა, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სამომხმარებლო კოოპერაციების, სოფლის მეურნეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და საწარმოო გაერთიანებების, აგრეთვე სამხედრო ნაწილების სარდლობის მიმართებით.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის სისტემის ორგანიზაციებს უმაღლეს სასწავლებლებთან არსებულ მოსამზადებელ განყოფილებებზე შეუძლიათ გამოაგზავნონ მხოლოდ ზეინკლები, ხარატები, მღარავები, შემდუღებლები, ამწყობები და ელექტრომონტიორები.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტთან არსებულ მოსამზადებელ განყოფილებაზე მიიღებიან აგრეთვე პირნი უმცროსი სამედიცინო პერსონალიდან (ავადმყოფთა მომვლელი უმცროსი მედდები და სანიტრები) საავადმყოფო დაწესებულებების, განსაკუთრებული ტიპის სასწავლო-პროფილაქტიკური დაწესებულებების, დისპანსერების, ამბულატორია-პოლიკლინიკების, სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და სისხლის გადასხმის დაწესებულებების, დედათა და ბავშვთა დაცვის, სანატორიულ-საკურორტო, სანიტარიულ-პროფილაქტიკური, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის, სააფთიაქო დაწესებულებების, აგრეთვე ხანდაზმულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატების მიმართებით.

სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების, ხანდაზმულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატების უმცროსი მედდები და სანიტარი ქალები, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის სანიტრები შეიძლება გაიგზავნონ მხოლოდ სამკურნალო, პედიატრიისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტებზე, სააფთიაქო დაწესებულებათა სანიტრები — მხოლოდ ფარმაცევტიულ ფაკულტეტზე, ხოლო სანიტარიულ-პროფილაქტიკური დაწესებულებების სანიტრები — მხოლოდ სანიტარია-ჰიგიენის ფაკულტეტზე.

მოსამზადებელ განყოფილებებზე ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკურ და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებში, რომლებიც ამზადებენ სპეციალისტებს სატყეო-სამეურნეო და სატყეო-ტექნიკური სპეციალობებით, მიიღებიან აგრეთვე სატყეო მეურნეობათა და სხვა სატყეო-სამეურნეო საწარმოთა მოწინავე მუშები.

მოსამზადებელ განყოფილებაზე ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც ამზადებს სპეციალისტებს დამზადების სამინისტროს საწარმოთათვის, მიიღებიან აგრეთვე დამზადების სამინისტროს სისტემის პურის მიმღები საწარმოების მოწინავე მუშები.

მოსამზადებელ განყოფილებებზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომლებიც ამზადებენ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სპეციალისტებს, მიიღებიან აგრეთვე ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მოწინავე მუშები (გამყიდველები, მზარეულები, მოლარე-კონტროლიორები და კონდიტერები).

თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში სპეციალობაზე „დაწყებითი სამხედრო მომზადება და ფიზიკური აღზრდა“ მიიღებიან 1980 წლის ნოემბერ-დეკემბერში, 1981 წლის მაის-ივნისში და ნოემბერ-დეკემბერში საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი სამხედრო ნაწილის მომართვით, აგრეთვე ის პირები, რომლებსაც დემობილიზაციის შემდეგ მუშაობის სავალდებულო სტაჟით გამოგზავნიან უმაღლეს სასწავლებლებთან არსებულ მოსამზადებელ განყოფილებებზე მოვლენების უფლების მქონე ორგანიზაციები.

მოსამზადებელ განყოფილებებზე გასაგზავნი კანდიდატურების ფართო განხილვა ეწყობა საამქროების, საწარმოების, ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობების მუშათა და კოლმეურნეთა კრებებზე.

იმ შემთხვევაში, როცა ისმება საკითხი საწარმოთა სამრეწველო ხასიათის შესახებ, საჭიროა ზემდგომი ორგანიზაციის დოკუმენტური დადასტურება იმის თაობაზე, რომ მოცემული საწარმო ახორციელებს სამრეწველო-საწარმოო საქმიანობას (ამზადებს სამრეწველო პროდუქციას) სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად, სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, ასრულებს მოვალეობებს და იყენებს ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ უფლებებს.

სამშენებლო ორგანიზაციებს, რომლებსაც უფლება აქვთ თავიანთი მუშები გაგზავნონ მოსამზადებელ განყოფილებაზე, განეკუთვნება: საერთო-სამშენებლო და სპეციალიზებული ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ სამშენებლო, სამონტაჟო და სხვა სამუშაოებს საოჯახო და სამეურნეო წესით, საუწყებო კუთვნილების მიუხედავად, მათ შორის მოძრავი მექანიზებული კოლონები და ის ასამაქმედებელ-გასამართავი ორგანიზაციები, რომლებსაც დაწესებული აქვთ საიჯარო სამუშაოთა გეგმა და მშენებლობაში შრომის გეგმა, აგრეთვე სარემონტო-სამშენებლო სამმართველოები, რომლებიც მშენებ